დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა. სარეგისტრაციო პროცესი 2022 წლის პირველი სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა, როგორც დისტანციურად (ელექტრონული ფორმით), ისე სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში (სწავლების ცენტრი) მოქალაქეთა მომსახურების მიზნებისთვის შექმნილი სამდივნოს მეშვეობით. მონაცამების მიხედვით გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ შეადგინა - 1033 (ქალი - 767; კაცი - 266).

სიახლის სახით სწავლების ცენტრმა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველებს შესთავაზა შესაძლებლობა, სასერტიფიკაციო გამოცდისთვის უფასოდ გაიარონ მოსამზადებელი სასწავლო კურსი, რომელიც ეფუძნება საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ტესტების შინაარსობრივ განხილვას და პრაქტიკულ დავალებებს. გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთაგან ამ კურსის გავლაზე თანხმობა 755 მოქალაქემ (73%) დააფიქსირა. სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული ტრენერები შესაბამის სასწავლო პროგრამას, დისტანციურ ფორმატში, მიმდინარე წლის 12 - 16 სექტემბერს ჩაატარებენ.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები 19 სექტემბერს იწყება და 30 სექტემბრის ჩათვლით განხორციელდება მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 138 (ცესკოს შენობა). გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრი.

[იხილეთ გამოცდის ტესტები]